ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №21

ქ. თბილისი **25.11.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;
გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თამარისი:
ბადრი ჯაფარიძე - დირექტორი;
ირმა თოდრია - სასწავლო ნაწილი;
მზია ლაზიშვილი - საინფორმაციო მენეჯერი.

ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა:
თეა მახათელაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;
ელენე გოგებაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსი:
რუსუდან ბოლქვაძე - დირექტორი;
თეა დარსალია - დირექტორი.

შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა:
ეკა კვაჭანტირაძე - დირექტორი;
მიხეილ ტეფნაძე - სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა:
ნორა მეფარიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ავთანდილ აბდუშელიშვილი;
მიხეილ მინდაძე;
დავით ლიპარტელიანი;
ლელა ბუბაშვილი;
მანანა ალიბეგაშვილი;
ირინა ჭელიძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
მაკა ნადარეიშვილი;
მანანა თურქაძე.

საბჭოს სხდომა 14:15 საათზე დაიწყო.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თამარისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, ხომ არ იყო შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს თამარისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავთანდილ აბდუშელიშვილმა და მიხეილ მინდაძემ წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლა მდებარეობდა ბათუმში, სურდა სამივე საფეხურზე სწავლების განხორციელება. ფლობდა 896.09 კვ. მ.-ფართს, შენობა იყო სამსართულიანი, აღჭურვილი 15 საკლასო ოთახით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათ დასკვნაში დააფიქსირეს რამდენიმე გარემოება:

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

სპორტული მოედანის ფართი იყო 44 კვ. მ., მასში განთავსებული იყო ჭადრაკის 4 მაგიდა და ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი აღჭურვილობით. ასევე, დოკუმენტაციით დგინდებოდა ამხანაგობის თავმჯდომარე, მერაბ ცინცაძესთან ხელშეკრულებით, რომ სკოლას იჯარით ჰქონდა აღებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი (კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი). სკოლის შენობას ჰქონდა ეზო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო მცირე სპორტულ მოედნად.

სკოლის ვებგვერდის დომეინი და ჰოსტინგი დარეგისტრირებული იყო ფიზიკურ პირზე, ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სკოლაზე გადაფორმების პროცესი.

სკოლის გარე პერიმეტრს, აკონტროლებდა 2 ვიდეოკამერა, რომელიც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს.

სკოლის მფლობელობაში იყო 15 კომპიუტერი, 221 ინდ. მერხი და სკამი და ასევე, ექსპერტებმა ვიზიტზე ნახეს დოკუმენტები, რომლითაც დგინდებოდა, რომ შეკვეთილი იყო დამატებით 100 ინდ. მერხი და სკამი.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტებმა დაამატეს, რომ სკოლას ჰყავდა 24 მასწავლებელი მათ შორის 6 სერტიფიცირებული პედაგოგი. პედაგოგებთან ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა ვინაიდან სასწავლო პროცესი ჯერ არ ფუნქციონირებდა.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი 100 მერხის დამზადებასთან დაკავშირებით, ასევე, დოკუმენტი, რითაც დასტურდებოდა, რომ გამოსწორებული იყო შენიშვნები გარე პერიმეტრზე არსებულ კამერებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით, ირკვეოდა, რომ სკოლამ შეიძინა 2 ახალი ვიდეოთვალი, რომლის პარამეტრებიც შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას თავისი რესურსებით შეეძლო 300 მოსწავლისთვის

გარემოს შექმნა. ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და აღნიშნეს, რომ სკოლას საგანმანათლებლო მომსახურება შეეძლო გაეწია 300 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თამარისს (საიდენტიფიკაციო კოდი: 446966025) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

2. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დავით ლიპარტელიანმა და ლელა ბუბაშვილმა წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლას სურდა სამივე საფეხურზე სწავლების განხორციელების უფლების მოპოვება და წარადგინეს დასკვნაში მოცემული შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება და ცალკეული საგნების სწავლება ეხმარებოდა სკოლას მისიის მიღწევაში, კერძოდ:

- I-VII კლასებში ისწავლებოდა საგანი - „საღვთო სჯული";
- IV-V-VI - კლასებში ისწავლებოდა საგანი - „ძველი ქართული დამწერლობა";
- ფუნქციონირებდა „ტრადიციული ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი სტუდია".

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმა არ ჰქონდა წარმოდგენილი ერთიანი დოკუმენტის სახით, დანომრილი ნაწილებითა და დანართით. არამედ სკოლის სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილები, რომლებიც დამტკიცებული იყო უფლებამოსილი პირის მიერ, კონკრეტულად კი დირექტორის მოადგილის მიერ გამოცემული ბრძანებით.

1.2 სკოლას შემუშავებული ჰქონდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის სპეციალური ფორმა, მასში ასახული იყო ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პუნქტები, კერძოდ: შეფასების მეთოდი, შეფასების კრიტერიუმები, თითოეული მოსწავლის შეფასება ხდებოდა ქულები, მასწავლებლის ანალიზი კლასის მიერ შედეგების მიღწევის შესახებ, ანალიზზე დაყრდნობით, კლასის მიერ საგნობრივი სტანდარტის, კონკრეტული შედეგის მიღწევაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისათვის გადასადგმელი ნაბიჯები. ვიზიტის დროს შემოწმდა თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ანალიზი და მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევრები.

1.3 სკოლაში შემუშავებული იყო ინკლუზიური სწავლების სტრატეგიები. ვინაიდან მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესი, დაწესებულებაში მიმდინარეობდა კორესპონდენციის აღრიცხვა.

2.2 ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თელავში, ფლობდა ორსართულიან შენობას, 15 საკლასო ოთახით, სადაც განთავსებული იყო 240

ინდივიდუალური და 35 ორადგილიანი მერხი. სკოლას ჰქონდა 20 კომპიუტერი და ჰყავდა 31 პედაგოგი. ერთი მასწავლებლის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, გარდა, ყველა იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სქემაში ჩართვის შესახებ სამინისტროსთვის მიწერილი წერილი.

საბჭოს წევრმა, გია მურღულიამ აღნიშნა, რომ სკოლის მისია მოიცავდა ფრაზებს, რომელიც მართლმადიდებლურ იდეოლოგიასა და ხედვას უფრო უსვამდა ხაზს, ვიდრე საგანმანათლებლო ფუნქციას და განაცხადა, რომ სკოლას მხოლოდ თავისი საგანმანათლებლო დანიშნულება უნდა შეესრულებინა, სულიერი აღზრდა კი ეკლესიის პრეროგატივად უნდა დარჩენილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას თავისი რესურსებით შეეძლო 275 მოსწავლისთვის გარემოს შექმნა. ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და აღნიშნეს, რომ სკოლას საგანმანათლებლო მომსახურება შეეძლო გაეწია 275 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 275-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: გრიგოლ მურღულიამ და გიორგი გახელაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 231284277) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 275-ით.

3. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ მანანა ალიბეგაშვილი და ირინა ჭელიძე. მათ აღნიშნეს, რომ მისიიდან გამომდინარე, სკოლა გაძლიერებულად ასწავლიდა ესპანურ ენას 3-12 კლასებში, 3-4 კლასებში ასევე ალტერნატივის სახით სთავაზობდნენ - გერმანულ ენას. სკოლა მოსწავლეებს გაძლიერებულად სთავაზობდა მათემატიკას, ინგლისურსა და ისტს.

სკოლა ფლობდა ორ შენობას, ერთის ფართი იყო 2171.04 კვ. მ., მეორის 1124.95 კვ. მ. მეორე შენობა ეკუთვნოდა გიმნაზიის შვილობილ კომპანია „სეფებანს", რომლის 100%-იანი წილის მმართველი იყო სერვანტესის სკოლა.

ექსპერტების თქმით, სკოლამ წარმოადგინა 800 მერხის ფლობის დოკუმენტაცია, თუმცა რეალურად განთავსებული იყო 707 მერხი, ამას გარდა, 20 მერხი დასაწყობებული იყო და კიდევ 24 განთავსებული ჰქონდათ სხვა ფართზე, თუმცა ამ მერხებს არ ჰქონდათ სტანდარტული ფორმა. სკოლა აღჭურვილი იყო 41 საკლასო ოთახით, მათ შორის ერთი კომპიუტერული კლასით 30 კომპიუტერით.

სკოლის მართვის ორგანოებს წარმოადგენდნენ დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭო, დირექცია და პედაგოგიური საბჭო. სასწავლო პროცესს ემსახურებოდა 96 თანამშრომელი, აქედან 64 მასწავლებელი.

სკოლის წარმომადგენელმა წარმოადგინა 24 ახალი, ინდივიდუალური მერხისა და სკამის შესყიდვის დოკუმენტაცია, რომელიც აკმაყოფილებდა დაწესებულ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას თავისი რესურსებით შეეძლო 750 მოსწავლისთვის გარემოს შექმნა. ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და აღნიშნეს, რომ სკოლას საგანმანათლებლო მომსახურება შეეძლო გაეწია 750 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსისსთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.

4. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ ნინო ფეტვიაშვილი და მაკა ნადარეიშვილი. მათ დადებითად შეაფასეს სკოლა და აღნიშნეს, რომ დაწესებულება ახორციელებდა პროგრამას, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებზე იყო დაფუძნებული. მისი გავლის შედეგად, მოსწავლეს შეეძლო მიეღო, როგორც ეროვნული, ისე ბრიტანული ატესტატი. სასწავლო გეგმის მიერ იფარებოდა ეროვნული სასწავლო გეგმაც და ბრიტანული საერთაშორისო საგამოცდო ცენტრის პროგრამების მიმართულებებიც.

სწავლების ენა სკოლაში იყო ქართული და ინგლისური. პირველი და მეორე კლასების გარდა, სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ-ინგლისურად, ზოგიერთი საგანი, მაგ. ისტორია და გეოგრაფია ისწავლებოდა ორივე ენაზე, ბრიტანული კურსის საგამოცდო სავალდებულო რამდენიმე საგანი - ინგლისურად. ნებართვა სამინისტროსგან ჰქონდათ მიღებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულად, ასევე მოსწავლეები აღნიშნულ საგნებს სწავლობდნენ ინგლისურ ენაზეც.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა მოსწავლეებზე იყო ორიენტირებული და დადებითად შეაფასეს,

შეფასების სისტემაც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, შემაჯამებელ დავალებათა ტიპი მრავალფეროვანი იყო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დასახვეწი იყო შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმულირებისა და სტანდარტის შესაბამისობის შემთხვევები, რაზეც ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს სკოლის წარმომადგენლებს.

ექსპერტებმა დაამატეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ გამოსცა სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელო, რომლებიც ხელს უწყობდნენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რაც შეეხებოდა მატერიალურ რესურსს, ექსპერტების განცხადებით, სკოლა ფლობდა 1278 კვ.მ. ფართის მქონე შენობას, რომელიც აღჭურვილი იყო 18 საკლასო ოთახით, 266 მერხითა და 28 კომპიუტერი.

ამჟამად სკოლაში ირიცხებოდა 182 მოსწავლე, პედაგოგიური კოლექტივი შედგებოდა 49 წევრისგან, საიდანაც 41 დარეგისტრირებული იყო მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პედაგოგად ან კლასის დამრიგებლად. აქედან 22 იყო უფროსი მასწავლებელი, 19 - პრაქტიკოსი. ერთერთი მასწავლებელი დეკრეტული შვებულების გამო არ აღმოჩნდა რეგისტრირებული მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში არსებულ მასწავლებელთა სიაში და არ აღმოაჩნდა მასწავლებლის სტატუსი. ამის გამო, სკოლამ მიმართა შესაბამის

უწყებას, რის შედეგადაც, მიიღეს დამადასტურებელი წერილი აღნიშნული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში რეგისტრაციის უფლების მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას თავისი რესურსებით შეეძლო 266 მოსწავლისთვის გარემოს შექმნა. ექსპერტები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას და აღნიშნეს, რომ სკოლას საგანმანათლებლო მომსახურება შეეძლო გაეწია 266 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 266-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204432783) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 266-ით.

5. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მიხეილ მინდაძემ და მანანა თურქაძემ წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში სწავლობდა 697 მოსწავლე.

7065 კვ. მ ფართის მქონე ნაკვეთზე განთავსებული იყო ოთხი შენობა ჯამში 3748,35 კვ. მ. ფართობით, სკოლაში იყო 44 კლასი, 45 კომპიუტერი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სპორტული დარბაზის ფართი შეადგენდა 300 კვ. მ.-ს. სკოლა კონტროლდებოდა 55 ვიდეოთვალით.

უძრავი ქონება თბილისის მუნიციპალიტეტს ჰქონდა გადაცემული უზუფრუქტით 10 წლის ვადით. (2025 წლამდე)

რაც შეეხებოდა ადამიანურ რესურსს, დაწესებულებას ჰყავდა 124 თანამშრომელი, აქედან 88 პედაგოგი, ასევე 2 ფსიქოლოგი.

სკოლას კონტინგენტის გაზრდა სურდა 900 მოსწავლემდე, მაგრამ ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე ადასტურებდნენ 836 მოსწავლის მიღების მზაობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 836-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205241148) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 836-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე